92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • სპეციალური გამოშვება 4 აგვისტო, 2025 წელი



დედის ლოცვა

2025 წლის 28 ივნისი, მორიგ განსაკუთრებულად გამორჩეულ დღედ შევა თერჯოლის მუნიციპალიტეტის უახლოეს ისტორიაში.

ამ დღეს, უძველეს დროში „ჩხარის ქუეყნად“ წოდებულ, ნაქალაქარსა და ვაჭარ-ხელოსანთა განთქმულ ცენტრში, სადაც ადამიანები ჯერ კიდევ ქვის ხანაში ცხოვრობდნენ და შორეულ წარსულში გადიოდა დიდი სავაჭრო-საქარავნო „აბრეშუმის გზა“, სადაც ფეოდალურ ხანაში მეფეთა და მიტროპოლიტთა საზაფხულო რეზიდენცია, ხოლო საბჭოურ პერიოდში რაიონული ადმინისტრაციული ცენტრი იყო, ანუ დღევანდელი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში გაიხსნა ძეგლი „დედის ლოცვა“.

ძეგლის შექმნის იდეის ავტორი და დამკვეთი იორამ აბულაძეა, მოქანდაკე კი გიორგი კიკვაძე.

და დგას დღეს მლოცველი დედის ძეგლი ძველი „ქალაქის“ გულში, სადაც ისევ მოჩხრიალებს მაღალი მთების წიაღიდან მომდინარე „ორღარის“ ცივი წყალი, ისევ ლამაზად შრიალებენ აქ საუკუნოვანი ცაცხვები და ვინ იცის წარსულზეც ჰყვებიან, ჰყვებიან იმ ხალხმრავალ დროზე, როცა აქ დასახლებულთ ლამის არ ჰყოფნიდათ ეს უმშვენიერესი ბუნებისა და ხედების კუთხე... დღეს კი სამწუხაროდ, მიგრაციის მსახვრალი ხელი დატყობია ზოგიერთ მიტოვებულ სახლსა და ეზოს...

იმედია ჩხარი ისევ აივსება მრავალშვილიანი ოჯახებით, გალამაზ-გაბრწყინდება და ამისათვის მომავალი თაობები იტყვიან ღირსეულ სიტყვას...

დაე, ისტორიული დღე, რომელიც 2025 წლის 28 ივნისს შედგა ჩხარში, ამ ყველაფრის დასაწყისი იყოს...

> „ჩვენს მეხსიერებაში დაუვიწყარ განცდად დარჩება ამ საშვილიშვილო, საშური საქმით გამოწვეული სულიერი ზეიმი ყოველ ჩვენგანში, რამეთუ სოფლის გულში ცად ამაღლდა და ქართული ზეცა დაიუნჯა ძეგლმა „დედის ლოცვამ“.

„ყველას დედა ლამაზია, მინდა ყველა გამვლელმა თუ მნახველმა მასში თავისი დედის სახე დაინახოს, ცოცხალისაც და გარდაცვლილისაც, მიეფერ-მიესათუთოს სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად“...

„დედის ლოცვა“ ჩემს ნამუშევართა შორის საპატიო ადგილს დაიკავებს.

ეს ხომ ყველას დედაა და არა ვინმეს კონკრეტული. მიხარია თუ დამკვეთის მოწოდებულ იდეას ჩემი ნამუშევრით ისე ვუპასუხე, რომ შექმნილი სახე ყველამ გაითავისა“...



„ჩხარი — ეს არა მხოლოდ სოფელია, ეს არის დროის სარკმელი, საიდანაც საქართველოს წარსული გვიმზერს. ადგილი, სადაც ქარსაც კი ფრთხილი ხმა აქვს — თითქოს არ სურს დაარღვიოს წარსულის მყუდროება. სადაც ყოველი ქვა, ყოველი ბილიკი ლეგენდადქცეული ამბავია. ჩხარში, ყოველ ჩრდილში, ისტორია ცოცხლობს, აქ თვითონ მიწა ლაპარაკობს, უძველესი ტაძრებით, ეკლესიათა ნაშთებით და იმ სახლებიდან გამომავალი სინათლით, სადაც ჯერ კიდევ ინახება წინაპართა ტრადიცია“.

28 ივნისს, დილის 11 საათიდან საზეიმოდ მორთულ ჩხარის ცენტრში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. დიდი და პატარა გარეთ გამოსულა, აქ არიან საპატიო სტუმრები, მოწვეული ჩხარელი ქალბატონები, დედები. აქაურებს, ამჟამად საცხოვრებლად სხვადასხვა ქალაქებში გასული ჩხარელებიც უერთდებიან. ყველას უნდა დაესწროს და ნახოს წუთები, როცა მათი და ყველა მათგანის „დედის ლოცვად“ წოდებული ძეგლი გაიხსნება.

თითქოს ყვავილების „მთებიდან“ ამოზიდული თეთრსაბურველიანი ძეგლი კი თავის მყუდროებასა და ამავე დროს დიდ ხმაურში გარინდულა. ირგვლივ სილამაზე, ადამიანთა სიმრავლე და მოლოდინის ისტორიული წუთებია...

ძეგლის გახსნის ცერემონიალი იწყება.

„მოგესალმებით ქართველნო,
ძვირფასო თანამემამულენო,
პატივცემულო სტუმრებო,

ზეიმია ჩვენს წარმტაც მხარეში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში—სწორედ დღესაა ჟამი, როცა ისტორია და სულიერი სიდიადე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს და წარსულიდან მომავლისაკენ ოპტიმიზმით გვატარებს. ამ დიდებულ სულისკვეთებას კიდევ უფრო შინაარსიანსა და სრულყოფილს ხდის რჩეულ მასპინძელთა ვალი, სიხარულით ისტუმროს საპატიო ქართველები და სიამაყით განაგრძონ ღირსებით სვლა მომავლისაკენ“.

შეკრებილი საზოგადოება აპლოდისმენტებით ესალმება სტუმრებს: ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტს, მეუფე გიორგი შალამბერიძეს;

დავით გორდელაძეს—იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს;

დავით აბულაძეს—საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ძეგლთა დაცვის სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონების საბჭოს ხელმძღვანელს, თერჯოლის საპატიო მოქალაქეს;

ტარიელ კიპაროიძეს, ლაშა შარტავას, ნოდარ ამაშუკელს, გივი გოგრიჭიანს, ილო შარაშენიძეს, თეონა ბანძელაძეს—საქართველოს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის სააგენტოს წარმომადგენლებს;

ვახტანგ აბულაძეს—სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს აბულაძეთა საგვარეულოს კავშირის თავმჯდომარეს;

იორამ აბულაძეს—ძეგლის „დედის ლოცვა“—იდეის ავტორსა და დამკვეთს;

გიორგი კიკვაძეს—ქართული თანამედროვე კულტურისა და ხელოვნების მოამაგეს, მხატვარსა და მოქანდაკეს, ძეგლის ავტორს.

აქ ბრძანდებიან ბატონი იორამის მეგობრები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, რუსეთიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც სპეციალურად ამ საზეიმო დღისათვის ჩამოვიდნენ.

სულში ჩამწვდომად გაისმის წამყვანის ხმა და მწერალ ოთარ ჭილაძის საოცარი სიტყვები: **„თუ დედა არ გენატრება და არც არაფრის გეშინია, სიცოცხლეს ფასი არ ჰქონია შენთვის. დედის მონატრებაა ადამიანობა“.** ამ სიტყვებში, ხომ ლიტერატურულ სევდასთან ერთად იკითხება ჩვენი ადამიანური სული, ჩვენი ისტორიული ფესვები და ზნეობა.

„დღეს ჩვენ ვდგავართ იმ სანუკვარი წუთების წინაშე, როცა სიყვარულს, რწმენას და მადლიერებას ძეგლად ვაქცევთ. როცა სოფელ ჩხარში, მთების ჩრდილსა თუ ხალხის გულებში იხსნება ძეგლი სახელწოდებით „დედის ლოცვა“—ეს არ არის ბრინჯაო, ეს არის კურთხევის სახე, ჩუმი ღამის ცრემლები, დედის შეუჩერებელი ლოცვა და შვილის სიცოცხლის ფესვები...

იხსნება ძეგლი, სიმბოლო დედისა-ცოცხლისა თუ გარდაცვლილისა, იმ ქართველი ქალებისა, რომლებმაც ღვთისავე ნებით უბოძეს ადამის მოდგმას ფასდაუდებელი საუნჯე—სიცოცხლე და სიყვარული, მერე ეს საუნჯე სალოცავ ხატად გულში ატარეს და სამშობლოს დიდი კაცები დაუზარდეს.

ოსტატის მიერ უკვდავად ქმნილი ეს ხელოვნება სამადლობელი განსხეულებაა ყველა დედისა...

დღეიდან იწყება ახალი სულიერი წრე, რომელიც თაობებს მრავალგზის შეახსენებს თუ ვის ლოცვაზე დგას საქართველო...

დღეს, 2025 წლის 28 ივნისს, იწერება ახალი ისტორია, როგორც დასაბამი იმისა, რომ სოფელი ჩხარი აღარ არის მხოლოდ ერთი ისტორიული კუთხე იმერეთში,—ის ხდება ყოველ დედათა ლოცვით მადლმოსილი ალაგი საქართველოსათვის.

გილოცავთ ამ დიდებულ დღეს!

დაგილოცავთ ნათელ მომავალს!

დღეს ჩვენი საქართველო აქ არის!“

ღონისძიების წამყვანი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს ამ მნიშვნელოვან მოვლენაში თვითმმართველობის ხელმძღვანელობის დიდი როლის შესახებ.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმშენებლობის საქმეს სათავეში უდგას პიროვნება, მანუჩარ რობაქიძე, რომლის შესახებ სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ იგი არის „სიტყვა საქმიანი, საქმე—სიტყვიანი“... მისი მსახურება ინფრასტრუქტურაში, განათლებაში, კულტურასა თუ ადამიანთა ყოველდღიურობაში ნასაზრდოებია მაღალი სამოქალაქო ცნობიერებით, წესიერებით, სანდოობითა და თითოეული მოქალაქის მიმართ მოწიწებით.

წამყვანი ასევე მადლიერებით აღნიშნავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონ გიორგი ბარათაშვილის ღვაწლზე, რომ არა მისი ხელმძღვანელობით თერჯოლის საკრებულოს მხარდაჭერა და თანადგომა დღევანდელი დღე ვერ შედგებოდა—აღნიშნა საღამოს წამყვანმა და შემდეგ კი სცენაზე მოიწვია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ძეგლის „დედის ლოცვა“ ოფიციალური გახსნის საპატიო მისიის შესასრულებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დავით გოგბერაშვილი სცენიდან ესალმებიან შეკრებილ საზოგადოებას და მომღერალთა ანსამბლების: „იმერეთის“, „იამესა“ და „მასპინძელოს“ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერის“ ფონზე ძეგლს ხსნიან თეთრ საბურველს, რასაც უამრავი ადამიანის აპლოდისმენტები უერთდება...

☞3

**„ლოცულობს დედა და ლოცვის სითბო ცხრა მთის გადაღმა შვილის გზაზე იებად ამოდისო“
(ვაჟა ხორნაული) სწორედ იისმგვან სილამაზედ ამოსული დედის ლოცვის გამოა,
რომ იგი არ კვდება — ის წყვეტს ლაპარაკს, მაგრამ აგრძელებს ლოცვას ზეციდან...**

3☜

„... დღეს სოფელი ჩხარი დგას როგორც რწმენა, როგორც ფესვი, როგორც დაუვიწყარი სიმაღლე საქართველოს მდიდარ რუკაზე... რამეთუ იგი 2025 წლის 28 ივნისიდან აღარ არის მხოლოდ ერთი ისტორიული კუთხე იმერეთში, არამედ იგი ახალი ისტორიით გამდიდრებული ყოველთა დედათა ლოცვით მადლმოსილი ალაგია საქართველოსი“.

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე გიორგი შალამბერიძე. მან აკურთხა ახლადგახსნილი ძეგლი, დალოცა ისტორიული დღე, სოფელი და მიმართა შეკრებილთ:

„ჩვენთან არს ღმერთი, დიდებული დღე აქვს დღეს ჩხარს. შემთხვევით არაფერი არ ხდება, ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და მსოფლიოში არ არსებობს კიდევ სხვა ქვეყანა, რომელიც ღვთისმშობლისა იყოს. წმიდა ნინო კაბადოკიიდან წამოვიდა, მოციქულთა სწორმა დიდი გზა გამოიარა და გაგვანათლა.

დღეს აქ დედის ძეგლი გაიხსნა. საქართველოში განსაკუთრებულია ქართველი ქალის ფენომენი, დაილოცოს ქართველი დედა და ქართველი ქალი. ვულოცავ ჩხარს, ვულოცავ სრულიად თერჯოლას ამ უმნიშვნელოვანეს დღეს, დედა იმსახურებს გამორჩეულ პატივს.

ღმერთმა დალოცოს იდეის ავტორი და შემსრულებელი. ღმერთმა დალოცოს ამ დიდებული დღის ყველა მონაწილე“...

იორამ აბულაძე: „მოგესალმებით ჩემო საყვარელო ადამიანებო, მოგესალმები ჩემო სამშობლო. მიხარია დღევანდელი დღე. ავისრულე ოცნება. ეს ძეგლი, რომელიც გულით მსურდა და აქ დაიდგა, რომელიც ამქვეყნად ყველა დედის სახეა, მე გავაკეთე თქვენთან ერთად, ჩემო ჩხარელებო, ჩემო თერჯოლელებო, თქვენი მხარდაჭერით და დახმარებით. მადლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მადლობა ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, რომელმაც გულთან მიიტანა ჩემი სურვილი და ჩვენ ყველამ ერთად ეს შევძელით.

მადლობა მას, მადლობა ყველას, ვინც აქ ბრძანდებით.

უღრმესი მადლობა მეუფეს, რომელიც ჩვენს ზეიმს შემოუერთდა.

მადლობა ყველა სტუმარს, რომლებიც დღეს აქ არიან, ჩემს მეგობრებს, ჩემს ჩხარელებს და განსაკუთრებული მადლობა ჩემს უახლოეს მეგობარსა და ჩემი იდეის სულისჩამდგმელს მხატვარსა და მოქანდაკეს გიორგი კიკვაძეს საუკეთესო ნამუშევრისათვის. თქვენ მე ყველამ ერთად გამაბედნიერეთ.

დედები არ კვდებიან. დიახ, ეს ყველას დედაა“...

მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ ძეგლის იდეის ავტორს იორამ აბულაძესა და მოქანდაკე გიორგი კიკვაძეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართვლობის სახელით, მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „მადლობის სიგელი“ გადასცა, რასაც მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა.

გიორგი კიკვაძე— იმერეთის ქალაქების სავიზიტო ბარათებად ცნობილი ქანდაკებებისა და ბიუსტების ავტორი, მხატვარი და მოქანდაკე: „ჩემთვის, როგორც ამ ძეგლის ავტორისათვის დღევანდელი დღე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია ამ დიდ ზეიმში მონაწილეობაც. მივესალმები აქ შეკრებილ საზოგადოებას და მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო იორამ აბულაძეს ამ იდეისათვის. „დედის ლოცვა“ ჩემს ნამუშევართა შორის საპატიო ადგილს დაიკავებს.

ეს ხომ ყველას დედაა და არა ვინმე კონკრეტული. მიხარია თუ დამკვეთის მოწოდებულ იდეას ჩემი ნამუშევრით ისე ვუპასუხე, რომ შექმნილი სახე ყველამ გაითავისა“...

დავით გორდელაძემ—იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ასეთი მნიშვნელოვანი დღის ორგანიზებისათვის, მადლობა გადაუხადა აგრეთვე ძეგლის იდეის ავტორსა და შემსრულებელს.

ვახტანგ აბულაძე, სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა დარბაზის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს აბულაძეთა საგვარეულოს კავშირის თავმჯდომარე: „ჩემი აქ ყოფნა სიმბოლურია, ეს ძეგლი კი აბულაძეთა საჩუქარია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იორამ აბულაძე.

დედა საქრთველოში უპირველესი ცნებაა. საკუთარი დედის სიყვარულის გამო უძღვნა ყველა დედას იორამმა ეს ძეგლი. „დედის ლოცვა“ იყოს მუდმივი თანამდევი ყოველი ადამიანისათის. ნარიყალას „ქართვლის დედის“ შემდეგ ეს ძეგლი პირველია ქვეყანაში, რომელიც დედებისადმია მიძღვილი და ძალიან საამაყოა, რომ ის იმერეთის ამ ლამაზ მხარეში სწორედ აბულაძის თაოსნობით დაიდგა.

უფლისაგან იყოს დალოცვილი იდეის ავტორი, და მოქანდაკე...

დალოცვილი იყოს ყველა, ვინც გვერდით დაუდგა, ვგულისხმობ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს. მე ვამაყობ, რომ, თერჯოლას ჰყავს ისეთი მერი, როგორიც მანუჩარ რობაქიძეა.

გვაქვს ერთი სურვილი და მინდა გავაჟღერო აქ, სახალხოდ—ვისურვებდი, იორამ აბულაძე იყოს თერჯოლის საპატიო მოქალაქე, ის ნამდვილად იმსახურებს ამას“. ვახტანგ აბულაძემ, იორამ აბულაძეს საგვარეულოს სპეციალური პრიზი და მადლობის სიგელი გადასცა.

ქალბატონი მაკა ლომთათაძე — მათემატიკის დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის და ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ქალბატონმა მაკამ თავის ვრცელ გამოსვლაში ისაუბრა იორამ აბულაძის ბავშვობაზე, დედის დაკარგვით გამოწვეულ დიდ ტკივილსა და ჩხარში გატარებულ წლებზე, შემდგომ სწავლასა და შრომით საქმიანობაზე; ისაუბრა მის საოცარ დედაზე, სათნო და ლამაზ ქალბატონზე, რომელსაც იორამი თავის ბავშვობასა და დიდობაშიც კი სიზმრებში ეძებდა და ისაუბრა მთელი ცხოვრება როგორ გაატარა მან იმაზე ფიქრში, რომ ყველა ნაბიჯი, ყველა კეთილი საქმე და ყველაფერი რისი გაკეთებაც შეეძლო მიეძღვნა დედის ხსოვნისათვის.

მანუჩარ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი:

„მოგესალმებით ყველას, დღეს განსაკუთრებული დღეა ჩვენს მუნიციპალიტეტში, მე ვიტყოდი ისტორიული დღეა აქ, ძირძველ სოფელ ჩხარში გაიხსნა დედის ძეგლი.

დედა როგორი ძვირფასია თითოეულისათვის, ამის შეხსენება არავის ჭირდება. მას აქვს ცხოვრებაში უდიდესი როლი და ამაგი საიმისოდ რომ ფიქრში თუ ხმამაღლა ვეფერებოდეთ, გვიყვარდეს და სამადლობელს ვეუბნებოდეთ.

ეს ძეგლი სწორედ ამის დასტურია, ჩემი დიდი პატივისცემა და მადლობა ბატონ იორამ აბულაძეს ამ იდეისათვის. უღრმესი მადლობა მოქანდაკეს ბატონ გიორგი კიკვაძეს, რომ მის მიერ შექმნილი დედის ძეგლი ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია და ნამდვილად გამოხატავს ყველა დედის სახეს.

მადლობა ყველა სტუმარს, თუ აქაურს ვინც დღეს ჩვენთან არის და თერჯოლელთა და ჩხარელთა სიხარულსა და ზეიმს შემოუერთდა.

მადლობა თითოეულ თქვენგანს, ვინც წვლილი შეიტანა ამ დღის მომზადება-გალამაზებაში. მადლობა შემოქმედებით ანსამბლებს და ყველა მონაწილეს...

ღმერთმა გვიმრავლოს ლამაზი და ბედნიერი დღეები“...

სიზმარშიც დედას დაეძებდა...

არიან ადამიანები, რომლებიც უფლის ხელდასმით ამ ქვეყანაზე განსაკუთრებული მისიით მოდიან, რათა თქვან თავიანთი სათქმელი, მოიტანონ სიკეთე, სიყვარული, ერთგულად დაუდგნენ მამულს დარაჯად, პატივი მიაგონ წარსულს, წინაპართა სახელებს, ხელი გაუმართონ მოძმეთ და ნათელი კვალი დატოვონ შემდგომ თაობათა გზის მანათობელად...

ერთ-ერთი ასეთია იორამ აბულაძე. რომ არა ეს პიროვნება, 28 ივნისი ჩხარში ერთი ჩვეულებრივი რიგითი დღე იქნებიდა.

ვინ არის იორამ (იური) აბულაძე? ორი სიტყვით—ბიზნესმენი და მეცენატი. თერჯოლა, სოფელი ნავენახევია მისი მამული. დედით ჩხარელი 1968 წელს დაიბადა. ადრე დაობლებული, 10 წლისა. აქ ჩხარში— დედულეთში იზრდებოდა ბებიასთან. რვა კლასის დამთავრების შემდეგ ქუთაისში სამხატვრო სასწავლებელი დაამთავრა, სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ კი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

შრომითი საქმიანობა სულ პატარას დაუწყია. დამოუკიდებლად იკვლევდა ცხოვრების გზას და ასევე დამოუკიდებლად უმკლავდებოდა ცხოვრების გზაზე შექმნილ პრობლემებს. მადლობა უფალს, რომ თავისი ადგილი იპოვა ცხოვრებაში.

ჩხარი იორამისათვის არა მხოლოდ ის საყვარელი ადგილია, სადაც მისი დედა, ლიანა ჩხიკვაძე გაიზარდა და ბავშვობა გაატარა, სადაც სკოლაში სწავლობდა, სადაც მისი დედულეთია, სადაც საყვარელი ბებია, ნადია ცხადაძე ზრდიდა. აქ ჩხარში იპოვა მან ცხოვრების მეგზურიც, ნანა ჩიქვილაძე, აქ მისი მოყვრების სამკვიდროცაა და გასაკვირიც არაფერია, როცა ჩხარი მისი უსაყვარლესი ადგილია და არც თუ შემთხვევით, „ქალაქ ჩხარად“ მოიხსენიებს სამეგობრო-სანაცნობოში...

მისი ბიზნეს საქმიანობა ქალაქ ქუთაისს უკავშირდება, სადაც ცხოვრობს ოჯახით. ჰყავს სამი შვილი და ორი შვილიშვილი...

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი მის სამეწარმეო და საქველმოქმედო საქმიანობაზე, რასაც იმდროინდელი ახალგაზრდობის ერთ-ერთ ლიდერს, მერი ფაჩუაშვილს უმადლის.

ჯერ კიდევ წლების წინ, ახალგაზრდობაში, ობოლი ბავშვებისათვის მოწყობილ საახალწლო და სხვადასხვა აქციებში აქტიურად ჩართულობისათვის, რაც სწორედ ქალბატონ მერი ფაჩუაშვილის ორგანიზებით ეწყობოდა, ბატონ იორამს—სრულიად ახალგაზრდას, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია და დიპლომი აქვს მიღებული.

იპოვის თუ არა დროს ბატონი იორამი ჩხარს მიაშურებს, სადაც საყვარელი ადამიანებიც ჰყავს და სადაც ბავშვობის ტკივილიანი წლებიც დედის მონატრებისა განსაკუთრებულია. გასაკვირიც არაფერია, დედა ხომ ხსოვნაში ტკბილად ჩარჩენილი ნანაა, რომლის დავიწყება შეუძლებელია...

„მთელი ცხოვრება ყოველ წუთს, ყოველ დღეს, ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, დედას ვუძღვნიდიო“, ამბობს ჩვენთან და ხედავ როგორ უჭირს ცრემლების გარეშე დედაზე საუბარი. გვიყვება როგორ ფიქრობდა წლების განმავლობაში იმაზე თუ რა გაეკეთებინა ისეთი, რაც სამარადისოდ უკვდავყოფდა არა მხოლოდ მისი დედის, არამედ ყველა დედის სახელს. ალბათ ახსნაც არ ჭირდება, იმას, თუ რატომ სურდა ზოგადად დედის ლამაზი ქანდაკება ჩხარის ცენტრში აღმართულიყო... **„ყველას დედა ლამაზია, მინდა ყველა გამვლელმა თუ მნახველმა მასში თავისი დედის სახე დაინახოს, ცოცხალისაც და გარდაცვლილისაც, მიეფერ-მიესათუთოს სიყვარულისა და მადლიერების ნიშნად... თუ ეს შევძელი თუ ეს გამომივიდა, ბედნიერი ვიქნებიო“**—ამბობს...

დიახ, თქვენ ეს გამოგივიდათ ბატონო იორამ.



დედას რომ იგონებ — იგონებ საკუთარ ფესვებს, პირველს, სუფთას, უპირობოს. დედის სახელს როცა წარმოთქვამ, თითქოს კარის კარნი იღება სინათლისაკენ და ცხოვრებას ისე აგრძელებ, როგორც დედა ინატრებდა შენთვის: სიკეთით, სიმშვიდით, რწმენით...

გახსოვდეთ მუდამ, როცა ფესვები ძლიერია ტოტებს ყოველთვის ექნება გზა მზისაკენ...

ძეგლის გახსნის ცერემონიალის შემდეგ დიდი საზეიმო კონცერტის დასასრულს, რომელიც გამოირჩეოდა შემოქმედებითი კოლექტივების მიერ მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებით, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი, სახალხო ზეიმის ორგანიზატორი **მაკა ასათიანი** მიესალმა შეკრებილ საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა სტუმრებს, თითოეულ მონაწილეს, მადლობა გადაუხადა ძეგლის „დედის ლოცვის“ იდეის ავტორსა და ძეგლის ავტორს. დედაზე ლამაზი ლექსიც წაიკითხა... მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ყველა სამსახურს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩხარში ამ დიდი დღის დიდი ზეიმის მომზადებაში და მუნიციპალიტეტის მერს, მანუჩარ რობაქიძეს, რომელმაც მხარდაჭერა და დახმარება გაუწია იორამ აბულაძეს მრავალწლიანი ოცნების ასრულებაში.

ღონისძიებას საკუთარი ტექსტით უძღვებოდა **ნატო კვეტენაძე** — განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ზოგადი სპეციალისტი, სახელმწიფო ენის ექსპერტი, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი, რომელმაც მადლობა და ყვავილებიც ღირსეულად დაიმსახურა.

მათთან ერთად სცენაზე იდგნენ მუნიციპალიტეტის მერი, **მანუჩარ რობაქიძე**, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, **დავით გოგბერაშვილი,** ძეგლის „დედის ლოცვა“ იდეის ავტორი და დამკვეთი **იორამ აბულაძე** და საპატიო თერჯოლელი **დავით აბულაძე**...

ულამაზესი საზეიმო ღონისძიება დაუვიწყარი დასასრულით, მადლიერებით, ფეიერვერკებით, „მრავალჟამიერით“ და უამრავი მაყურებლის აპლოდისმენტების ფონზე დამთავრდა...

უფალმა გვიმრავლოს ასეთი დღეები!

მოამზადა
მზია ცქიფურიშვილმა

დედა

იოსებ ნონეშვილი

დედავ - სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ - ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.
ჩემს აკვანს ფერად ღილკილებიანს
შენ დამღეროდი „ნანას“, „მზე შინას“,
რამდენი ღამე არ გძინებია,
რომ ჩემთვის ძილი გესწავლებინა.
შენ ჩემი ხელი ხელში გეჭირა,
არ მშორდებოდი წუთით, საათით,
რომ სიარული გესწავლებინა
შენც დადიოდი ჩემთან ტაატით.
მე შენი წმინდა შუქი მეფინა,
შენსკენ მოვრბოდი ხელებგაშლილი,
რომ ლაპარაკი გესწავლებინა,
შენც ტიტინებდი ჩემთან ბალღივით.
დედავ, ვიყავით თითქოს ტოლები,
თითქოს ფიქრები გვქონდა საერთო,
შენც ჩემს გაკვეთილს იმეორებდი,
რომ ჩემში ცოდნის შუქი აგენთო.

თურმე რამდენჯერ ავად გავმხდარვარ,
რამდენჯერ სენმა ხელი დამრია,
დედავ, იმდენჯერ ბღუჯა ჭაღარა,
თმებში ჭაღარა შემოგპარვია.
როცა მაცნობდი წარსულს დარდიანს,
შენს ხმაში კრთოდა სევდა ფარული,
შენ შემაყვარე, დედავ, ნამდვილად
ჩემი ქვეყანა, ჩემი მამული.
ახლაც შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხივოსნება,
შენ შემაყვარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტკბილი ოცნება.
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.
დედავ - სიცოცხლის ტკბილო საწყისო,
დედავ - ცხოვრების დვრიტავ მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

მადლობა შემოქმედებით კოლექტივებს

— ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“—სამხატვრო ხელმძღვანელი გოჩა ჭანკვეტაძე, ქორეოგრაფები: გიორგი ჭანკვეტაძე, ირინა ბუცხრიკიძე;

— ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“— ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი;

— მომღერალთა ანსამბლი „მასპინძელო“—ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე;

— ქალთა ანსამბლი „იამე“— ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი;

— მოსწავლე-ახალგაზრდობის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ხელმძღვანელები: ვიტალი ლაღაძე, მანუჩარ ლაღაძე და ზაურ სვანიძე;

— ჩხარის №1 საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქარავანი“, ქორეოგრაფი მალხაზ აბულაძე.

— მოსწავლე-ახალგაზრდობის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“— ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე;

— სამუსიკო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი „ჭიუხი“, ხელმძღვანელები: გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი.

მადლობა ცალკეულ ინდივიდშემსრულებლებ ს, ყველას ვინც სტუმრებს ორიგინალურად მოწყობილი ჩხარის ცენტრი დაახვედრა...

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872